



ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

პროგრამის სახელწოდება

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

მისანიჭებელი კვალიფიკაცია

კერძო სამართლის მაგისტრი

სწავლების მოცულობა კრედიტებით

120 ECTS

სწავლების ენა

ქართული

პროგრამის მიზანი

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია ბიზნესის სამართლის იურისტის საჭიროებებზე გათვლით და განკუთვნილია ადამიანებისთვის, რომლებიც გეგმავენ იურისტის კარიერას ამ სპეციალიზაციით.

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები თანხვედრაშია და გამომდინარეობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მისიიდან და წარმოადგენს ამ მისიის პრაქტიკაში განხორციელების ერთ-ერთ აკადემიურ მექანიზმს - შექმნას სწავლის, სწავლების და კვლევისთვის ხელმისაწვდომი გარემო, რომელიც სტუდენტებს კრიტიკული აზროვნებისა და გადაწყვეტილების მიღების უნარებს განუვითარებს, და რაც კურსდამთავრებულებს ხელს შეუწყობს იყვნენ პროფესიულად მოქნილნი და წარმატებული მუდმივად ცვალებად საქმიან გარემოში.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის საგანმანათლებლო სამაგისტრო პროგრამის მიზნებია:

- მოამზადოს იურისტები, რომლებსაც შეეძლება თუ არა და სწრაფად ცვალებად ბიზნესის სამართლის გარემოში სწორი სამართლებრივი გადაწყვეტილებების მიღება;

- კურსდამთავრებულები იყვნენ მოთხოვნადი და წარმატებულები ბიზნესის სამართლის სფეროში;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ ბიზნესის სამართლის სფეროში მიღებული სისტემური ცოდნისა და უნარების გამოყენება, ბიზნესის სამართლის ცვალებად გარემოსთან ადაპტაცია და, შესაბამის დონეზე, მისი მართვა ინოვაციებისა და ახალი, ორიგინალური იდეების განვითარების გზით;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ ბიზნესის სამართლის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელება მაღალი აკადემიური სტანდარტით და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით;
- კურსდამთავრებულებს მისცეს დამატებითი ცოდნა და უნარები საგადასახადო სამართლის სფეროში;
- კურსდამთავრებულებმა შეძლონ სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდგომ საფეხურზე, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ, მზად იყვნენ წვლილი შეიტანონ პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში.

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ეფუძნება ბიზნესსამართლებრივი პრობლემების ყოვლისმომცველ და ინტერდისციპლინარულ შესწავლას, რაც ბიზნესის სამართლის შესწავლის სამ საფეხურს მოიცავს:

1. ბიზნესის სამართლის შესწავლის პირველ საფეხურზე სტუდენტი სასამართლო პრაქტიკის კრიტიკული ანალიზისა და არსებული სამეცნიერო ცოდნის საფუძველზე იძენს ბიზნესის სამართლის ძირითადი ტრანზაქციების შესახებ ღრმა და სისტემურ ცოდნას. იგი ეცნობა ვალდებულებითი, სახელშეკრულებო სამართლის აქტუალურ პრობლემებს, შეისწავლის საწარმოს დაფუძნების, მართვის, რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სრულ ციკლს, მასთან დაკავშირებულ სამეწარმეო და საგადასახადო სამართლებრივ პრობლემებსა და საერთაშორისო ბიზნეს გარიგებების შედგენისა და დადების თავისებურებებს.
2. სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის მიერ პირველ საფეხურზე შეძენილი ცოდნა ემსახურება ბიზნესის სამართლის რეალური ტრანზაქციების

განხორციელებისათვის აუცილებელი სპეციალური პროფესიული უნარ-ჩვევების განვითარებას. ბიზნესის სამართლის შესწავლის მეორე საფეხურზე სტუდენტი სწავლობს პრაქტიკაში ფართოდ გავრცელებული ბიზნესტრანზაქციების განხორციელების პროცესს - ბიზნესის სამართლის გავრცელებული კომპლექსური ტრანზაქციების შესწავლის ფორმით.

3. მესამე საფეხურზე, სტუდენტი, ბიზნესის სამართლის კლინიკისა და სამართლის პრაქტიკის ფარგლებში, დამოუკიდებლად იკვლევს კომპლექსური ბიზნესტრანზაქციების სამართლებრივ რეგულაციებს და ეძებს ბიზნეს-სამართლებრივი პრობლემების [რეალური საქმეები] გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს. ამასთან, პროგრამის ფარგლებში მიღებული ანალიტიკური უნარების, ღრმა და სისტემური ცოდნის საფუძველზე აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად ახორციელებს კვლევას [სამაგისტრო ნაშრომი] ბიზნესის სამართლის აქტუალური პრობლემის შესახებ.

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს საგადასახადო სამართლის კონცენტრაციას - საგადასახადო სამართლის მიმართულებით დამატებითი ცოდნის მისაღებად პროგრამის სტუდენტს შეუძლია აირჩიოს განსხვავებული სასწავლო კურსები: ფინანსური ანგარიშგება, საგადასახადო აღრიცხვა, საგადასახადო სამართლის პრაქტიკული კურსი, საერთაშორისო საგადასახადო სამართალი კონცენტრაციის არჩევა გაზრდის კურსდამთავრებულის დასაქმების შესაძლებლობას საერთაშორისო და ადგილობრივ აუდიტორულ კომპანიებში.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტსა და ვოშბორნის უნივერსიტეტს შორის გაფორმებულია ურთიერთანამშრომლობის მემორანდუმი. მემორანდუმის თანახმად, თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მეორე კურსის 5 სტუდენტს შეუძლია 1 წლის განმავლობაში ისწავლოს აშშ-ში, ვოშბორნის უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში. ვოშბორნის უნივერსიტეტში ათვისებული კრედიტების აღიარება ხდება თბილისის თავისუფალი



უნივერსიტეტის ბიზნესის სამართლის სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში. კურსდამთავრებულს ბიზნესის სამართლის მაგისტრის კვალიფიკაცია ენიჭება თავისუფალი უნივერსიტეტისა და ვოშბორნის უნივერსიტეტის მიერ ცალ-ცალკე. მემორანდუმის ფარგლებში, პროგრამის კურსდამთავრებული შეძლებს ჩააბაროს ნიუ-იორკის შტატის ადვოკატთა გამოცდა. მემორანდუმი შეთანხმებულია სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრთან.

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ და პროგრამით გათვალისწინებული სამივე საფეხურის კურსების ათვისების საფუძველზე, სტუდენტი მზად არის ეროვნული და საერთაშორისო ბიზნესის სამართლის კომპლექსური ტრანზაქციების სამართლებრივი გაფორმებისათვის.

პროგრამის კურსდამთავრებულები იქნებიან კონკურენტუნარიანი პროფესიონალები, როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთ ბიზნესის სამართლის სფეროში. ისინი წვლილს შეიტანენ პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკის განვითარებაში, შეეძლებათ პასუხისმგებლობა აიღონ სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე. მათ ექნებათ შესაბამისი აკადემიური საფუძველი გააგრძელონ სწავლა სადოქტორო საფეხურზე საქართველოში ან საზღვარგარეთ, თავიანთი ინტერესების შესაბამისად.

დასაქმების სფეროები

სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია წარმატებით განაგრძოს საქმიანობა საერთაშორისო იურიდიული კომპანიების ადგილობრივ წარმომადგენლობებში, ადგილობრივ იურიდიულ კომპანიებში, საჯარო დაწესებულებებში, კერძო ან საერთაშორისო არბიტრაჟში, ფინანსურ ინსტიტუციებში, საერთაშორისო და ადგილობრივ აუდიტორულ კომპანიებში, იმუშაოს იურისტად ნებისმიერი მასშტაბის და პროფილის საწარმოში, ისევე, როგორც დააფუძნოს საკუთარი იურიდიული კომპანია, როგორც პარტნიორმა, და დაიწყოს დამოუკიდებელი პრაქტიკა.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა

ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვება ხორციელდება

საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

პროგრამაზე სწავლა შეუძლია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სამართლის ბაკალავრის კვალიფიკაციის მქონე პირს, რომელმაც „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის, საერთო სამაგისტრო გამოცდის დებულებისა და თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის შიდა რეგულაციების შესაბამისად მოიპოვა უფლება ისწავლოს თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

მაგისტრანტობის კანდიდატების ხელშეწყობისა და სტუდენტების მობილობის მიზნით უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ დადგენილი წესით და დადგენილ ვადებში დასაშვებია:

ა) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებმაც უცხო ქვეყანაში მიიღეს შესაბამისი უმაღლესი განათლების აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტი;

ბ) უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

გ) საქართველოს მოქალაქეებისათვის (გარდა ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა და გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის მონაწილე სტუდენტებისა), რომლებიც საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ განსაზღვრული ვადით ცხოვრობენ/ცხოვრობდნენ, სწავლობენ/სწავლობდნენ და მიღებული აქვთ კრედიტები/კვალიფიკაცია უცხო ქვეყანაში ამ ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მაგისტრატურაში;

დ) მაგისტრანტობის კანდიდატებისათვის, რომლებიც უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩაირიცხნენ „უმაღლესი განათლების შესახებ კანონის“ კანონის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილი წესით.

საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა ასევე შესაძლებელია მობილობის წესით,

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/5 ბრძანებით დამტკიცებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის დროს, მხედველობაში მიიღება კანონმდებლობის მოქმედი რედაქცია.

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრულია პროგრამაზე დაშვების შემდეგი წინაპირობები:

- ინგლისური ენის ფლობა მინიმუმ B1 დონეზე;
- გასაუბრება;
- სასურველია კანდიდატს ჰქონდეს იურისტად მუშაობის ერთწლიანი გამოცდილება მაინც.

ინგლისური ენის ცოდნის დონის დასადასტურებლად მაგისტრანტობის მსურველი თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში წარადგენს ენის ფლობის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს. მისი არქონის შემთხვევაში კანდიდატი აბარებს ინგლისური ენის ცოდნის დონის განმსაზღვრელ გამოცდას თბილისის თავისუფალ უნივერსიტეტში.

გასაუბრების ფარგლებში ფასდება მაგისტრანტობის მსურველის სამართლებრივი ცოდნა (40%), კრიტიკული აზროვნების უნარი (30%) და დასაბუთებული მსჯელობის უნარი (30%). გასაუბრების კომისიის შემადგენლობა მტკიცდება თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

სწავლის შედეგები

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთარებულს:

- ექნება სიღრმისეული ცოდნა ადგილობრივი და საერთაშორისო ბიზნეს ტრანზაქციების, მათი დაბეგვრისა და ტრანზაქციის განხორციელებისას წამოჭრილი სამართლებრივი პრობლემის გადაჭრის გზების შესახებ;
- შეეძლება პრაქტიკაში გამოიყენოს ბიზნესის სამართლის იურისტისთვის საჭირო და ეფექტიანი უნარ-ჩვევები;

- შეეძლება გარიგების სამართლებრივი პირობების გაანალიზება, დამუშავება, რისკების წინასწარ განსაზღვრა, მათი თავიდან აცილების ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება;
- შეეძლება დამოუკიდებლად იმოქმედოს ბიზნესის სამართლის ცვალებად გარემოში, ადაპტირდეს მასთან და გადაწყვიტოს არსებული რთული სამართლებრივი ამოცანები ინოვაციური და ორიგინალური მეთოდების გამოყენებით;
- შეეძლება ნებისმიერი ბიზნესის სამართლის ნორმატიული წყაროს, ეროვნული და საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილების, ქართული და საერთაშორისო სამეცნიერო სტატიის კრიტიკული ანალიზი, მიღებული ინფორმაციის საფუძველზე კვალიფიციური დასკვნის ჩამოყალიბება;
- შეეძლება უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით დამოუკიდებლად განახორციელოს კვლევა ბიზნესის სამართლის სფეროში მაღალი აკადემიური სტანდარტით და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;
- შეეძლება გამოიყენოს საკუთარი ანალიზის და კვლევის შედეგები ბიზნესტრანზაქციების განხორციელებისას;
- შეეძლება საკუთარი კვლევის/დასკვნის გაცნობა აკადემიური და პროფესიული საზოგადოებისთვის ქართულ და ინგლისურ ენებზე;
- შეეძლება ქართველ და უცხოელ კოლეგებთან კომუნიკაცია, დასაბუთებული და არგუმენტირებული მსჯელობა ბიზნესის სამართლის აქტუალური საკითხების შესახებ;
- შეეძლება ზედამხედველობა გაუწიოს და წარმართოს სხვა იურისტების საქმიანობა, და იმუშაოს ინტერდისციპლინარულ გუნდში;
- შეეძლება სწავლის საჭიროების იდენტიფიცირება და ახალი ცოდნის შექმნის პროცესის დამოუკიდებლად დაგეგმვა და წარმართვა;
- შეეძლება საკუთარი იდეების და მიდგომების ეფექტური კომუნიკაცია და პრეზენტირება პროფესიულ აუდიტორიაში.

სწავლის შედეგების მისაღწევად თითოეული კურსის მიზნიდან გამომდინარე, განსაზღვრულია შესაბამისი სწავლისა და სწავლების მეთოდი. ბიზნესის სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ძირითადად შემდეგი მეთოდები გამოიყენება:

- სწავლების ვერბალური მეთოდი
- წიგნზე მუშაობის მეთოდი
- წერიტი მუშაობის მეთოდი
- ჯგუფური მუშაობა
- დისკუსიები/დებატები
- ანალიზის მეთოდი
- ახსნა-განმარტების მეთოდი
- დემონსტრირების მეთოდი
- პრაქტიკული მეთოდები
- ინტერაქციული მეთოდი
- შედარებითი მეთოდი
- სოკრატეს მეთოდი
- თანამშროლობაზე ორიენტირებული სწავლების მეთოდი
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი
- ე.წ. „case study“/კაზუსების შესწავლა

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება: საშინაო დავალებები, ტესტები, ქვიზები, წერიტი გამოცდა, პრეზენტაცია, ესეები, ჰიპოთეტური და რეალური საქმეების გადაჭრა, დისკუსია, ხელშეკრულების პროექტი, საპროცესო დოკუმენტების მომზადება, იმიტირებული პროცესი, სიმულაცია, სამართლებრივი მემორანდუმი, სადიპლომო ნაშრომი და სხვა.

აკადემიური თავისუფლების ფარგლებში ლექტორი უფლებამოსილია გამოიყენოს ისეთი სწავლების და სწავლის მეთოდი, რომელიც არ არის გათვალისწინებული პროგრამით. განსხვავებული მეთოდის გამოყენების შემთხვევაში, მის შესახებ ინფორმაცია უნდა იყოს

აღნიშნული სილაბუსში.

ცოდნის შეფასების სისტემა

სტუდენტის ცოდნა ფასდება 100-ქულიანი სისტემით. შეფასება მრავალკომპონენტურია და შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დამტკიცებულ უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესს. სტუდენტის ცოდნის შეფასების დროს, პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალი ვალდებულია გამოიყენოს ზემოაღნიშნული წესი.

ცოდნის შეფასებისას გამოიყენება შემდეგი სქემა:

1. ხუთი სახის დადებითი შეფასება:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა

2. ორი სახის უარყოფითი შეფასება:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი

მიღწეული სწავლის შედეგების გაზომვისას გამოიყენება როგორც მაფორმირებელი ისე შემაჯამებელი შეფასების ფორმები, ესენია: საშინაო დავალებები, პრაქტიკული სამუშაოები, ტესტები, წერიტი გამოცდები, პრეზენტაციები, ესეები, პროექტები და სხვა.

სასწავლო გეგმა (კურიკულუმი)

აკადემიური სასწავლო წელი იყოფა შემოდგომისა და გაზაფხულის სემესტრებად. სემესტრი გრძელდება 18 კვირა. აქედან, 16 კვირა ეთმობა ლექციებსა და სემინარებს, ხოლო 2 კვირა დასკვნითი გამოცდებისთვის მომზადებას და დასკვნით გამოცდებს.

კურიკულუმი შედგება შემდეგი კომპონენტისგან:

	ECTS
ბიზნესტრანზაქციების სამართლის კომპონენტი	25 კრ
ბიზნესის ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაბეგვრის სამართლის კომპონენტი	39 კრ
პროფესიული ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტი	30 კრ
პროფესიული სპეციალური პრაქტიკული განათლების კომპონენტი - ბიზნესტრანზაქციების პრაქტიკუმი	16 კრ
სამაგისტრო ნაშრომი	10 კრ
კრედიტები კვალიფიკაციისთვის (არანაკლებ)	120 კრ

საგადასახადო სამართლის კონცენტრაცია შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:

	ECTS
ბიზნესტრანზაქციების სამართლის კომპონენტი	25 კრ
ბიზნესის ორგანიზაციის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციის და დაბეგვრის სამართლის კომპონენტი	24 კრ
პროფესიული ზოგადი პრაქტიკული განათლების კომპონენტი	24 კრ
პროფესიული სპეციალური პრაქტიკული განათლების კომპონენტი - ბიზნესტრანზაქციების პრაქტიკუმი	16 კრ
საგადასახადო სამართლის კონცენტრაცია	21 კრ
სამაგისტრო ნაშრომი	10 კრ

კომპონენტების აღწერა, სასწავლო გეგმა და სემესტრული გეგმა პროგრამაში მოცემულია დანართის სახით.

ადამიანური და მატერიალური რესურსები

თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას გამორჩეული კვალიფიკაციისა და წარმატებული გამოცდილების მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარით და ყველა სხვა რესურსით.